
1. **დამკვეთი**– შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (ს/კ:211352016), მისამართი: ზ.ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ.5ა), თბილისი, 0186, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო**– კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს **IPSOS S.A.** შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა**– სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Chemin du Château-Bloch, 11; 1219 Le Lignon, Switzerland
4. **კვლევის ჩატარების დრო**–01.05.2019- 14.05.2019
5. **გამოკითხვის მეთოდი**– პირისპირი გამოკითხვის გზით;
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:**
 - ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? რომელ კანდიდატს არ მისცემდით ხმას არც ერთ შემთხვევაში?
 - იმისდა მიუხედავად, რამდენად კარგად იცნობთ თითოეულ პარტიის საქმიანობას, თქვენი დამოკიდებულებებიდან და წარმოდგენებიდან გამომდინარე, გთხოვთ შეაფასოთ თითოეული პარტია. თქვენი დამოკიდებულება ამ პარტიების მიმართ არის ძალიან დადებითი, მეტ-ნაკლებად დადებითი, მეტ-ნაკლებად უარყოფითი თუ ძალიან უარყოფითი?
 - როგორია თქვენი მოლოდინები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმართ?
 - თქვენი აზრით, რომელი პოლიტიკური ძალა, მოახერხებდა თქვენ მიერ ჩამოთვლილი პრობლემების ეფექტურად მოგვარებას?
 - გთხოვთ შეაფასოთ თქვენი დამოკიდებულება ქვემოთ მოცემული პიროვნებების მიმართ 5-ქულიან შკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავს „ძალიან ნეგატიურს“ ხოლო 5 – „ძალიან პოზიტიურს“
 - როგორ შეაფასებდით ქვემოთ მოცემული პიროვნებების გავლენას საზოგადოებაზე 5-ქულიან შკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავს, რომ საერთოდ არ აქვს გავლენა, ხოლო 5 – ძალიან გავლენიანია
 - ზოგადად, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის თუ არასწორი მიმართულებით?
 - როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?
 - როგორ შეაფასებდით მიხეილ სააკაშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში (ზოგადად, პრეზიდენტობის და ოპოზიციაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით)?
 - ზოგადად, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის თუ არასწორი მიმართულებით?
 - ზოგადად, როგორ ფიქრობთ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა:
 - ზოგადად, როგორ ფიქრობთ უნდა გაუქმდეს თუ არა მაჟორიტარული არჩევნების სისტემა?
 - როგორ შეაფასებდით თქვენი უზნის/ ოლქის მაჟორიტარის საქმიანობას?
 - მამუკა ხაზარაძის მიმართ მიმდინარე სამართლებრივი პროცესები არის:
 - თქვენი აზრით მამუკა ხაზარაძის მიმართ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებები არის განპირობებული თუ არა ანაკლიის პორტის მშენებლობის შეფერხებით?
 - თქვენი აზრით, რითი არის განპირობებული მამა გიორგი მამალაძის მიმართ მიმდინარე სამართლებრივი ქმედებები?
 - რომელი სატელევიზიო არხის ახალ ამბებსა და პოლიტიკურ ინფორმაციას უყურებთ ყველაზე ხშირად?

7. შესაძლო ცდომილების ფარგლები– შესაძლო ცდომილება +/-2.2%, 95%-იანი სანდოობის დონისათვის (ქვეყნის მასშტაბით).
8. კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია: საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. შერჩევის არეალი-საქართველო
10. შერჩევის ზომა: 1540
11. შერჩევის ტიპი: შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში)
12. მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა: დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის პარამეტრებით.
13. კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1540 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს- შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამოზრუნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.
15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. სახლში არავინ ცხოვრობს	158	
2. არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	178	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	235	
4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტრევიუს ჩატარების გეოგრაფიაში	113	
5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	90	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	75	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეეძლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/ მთვრალი იყო და ა.შ)	18	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტრევიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	73	
9. სხვა მიზეზი	33	
10. წარმატებული ინტრევიუ	1540	
ჯამი	2510	69%

16. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

Irina.Baleva@ipsos.com

<https://www.ipsos.com>